№ 26 მთავრობის ორგანო | ყოველდღიური გაზეთი | წელიწადი მეორე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 2 მან. ოთხშაბათი, 4 თებერვალი 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის დაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

ღრმად დამწუხრებული ზინაიდა მუსლოვი—ოთარაშვილისა და თინათინ ივანეს ასული მუსლოვისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ დაკარგვას პირველი ძვირფასი ქმრის, ხოლო მეორე სიძის

ნიკო იოსების ძე ოთარაშვილისას.

გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 5 თებერვალს ნაშუადღევის 3 საათზე. ერთობის უბანი, სამეგრელოს ქუჩა, საკუთარი სახლი (მარჯვნივ გოროზედ). დაკრძალვა მოხდება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი ოთხშაბათს, ოთხ თებერვალს საღამოს 6 საათზე ბინაზე.

მიხეილ ორმოცაძე, დავით დვალი, ლავრენტი კვიკვაძე, მანასე გოგუაძე და სხვანი, მასთან ციმბირში ნაცნობი ამხანაგები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებ და ნაცნობებს უდროოდ გარდაცვალებას უანგარო და ენერგიულ პარტიული მუშაკი

ნიკო იოსების ძის ოთარაშვილისას

გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 5 თებერვალს ნაშუადღევის 3 საათზედ. (ერთობის უბანი, სამეგრელოს ქ. საკ. სახლი). კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა ხ. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

ოთხშაბათს, თებერვლის 4 ს დავიდოვას მონაწილეობით

I. სევილიელი დალაქი

მონაწილეობენ: დავიდოვა, ზალიპსკი, დროზდა—პოლიაევი, საბინინი, დემიანენკო.

2. ბორის გოდუნოვი

(სცენა კორჩმაში). ხუთშაბათს, თებერვლის 5 ს „ფაუსტი“. პარასკევს, თებერვლის 6 ს „აბესალომი და ეთერი“ შაბათს თებ. 7 ს ოპერა მუშებისათვის. კვირას, თებერვლის 8 ს შულგინას ბენეფისი. დღის „ტრავიატა“, საღამოს „ქანი ბატერფლეი“ და ბალეტი.

## მოსამზადებელი კურსები ი. მ. მაჩაიძისა გიმნაზიის

პროგრამით, ამით აუწყებს, რომ იხსნება ქართული და რუსული კლასები: 1, 2, 3, 4, 5, 6 და 7. მეცადინეობა საღამოთი. სწავლა დაიწყება 1 მარტს. (12 სექტემბრამდე გავლილი იქნება ერთი კლასის კურსი: მე 8 კლასის განოშვება (მოწიფულობის გამოცდა) იქნება ივნისში 1921 წელს (მეორე წ.) კურსები დაარსებულია 12 ივნის. 1917 წ, და აღჭურვილია მოწაფეთ თვის იმ უფლებებით, რომელიც მინიჭებული აქვთ კერძო გიმნაზიების მოწაფეებს, თანახმად 1914 წ. 1 ივლისის და ამ კანონის 29 ივლისის ძალით. საბუთი: 1) კურსების დაარსების ნებართვა, ყოფილი კავკ. სასწავლო ოლქის მიერ. 12 ივნისის თარიღით 1917 წ. № 15753, 2) მოწერილობა საქართ. რესპ. სახ. განათლ. სამინისტროს 27 მარტს 1919 წ. № 2485 3) ასევე ცირკულიარი 1919 წ. 11 ნოემბრის № 1075. თხოვნებს იღებენ, გარდა კვირა უქმე დღისა, 9 ს. 12 საათამდე და 3—5 ს. გამოცდები 26, 27, 28 თებერვალს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 22.

171 1 1

გამგე ი. მ. მაჩაიძე.

## ოფიციალური განყოფილება.

## განკარგულებანი

### შინაგან საქმეთა მინისტრისა.

3 იანვარი, 1920 წლ., № 2.

**ინიშნება:** შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწე გიორგი ვასილის ძე კოკოჩაშვილი იმავე სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილის ინსპექტორის კანცელარიის საქმის მწარმოებლად, 1 ამა იანვრიდან.

მინისტრის ამხ. ჭიჭინაძე.

—

### გზათა დეპარტამენტისა.

29 დეკემბერი, 1919 წ. № 123.

მტკიცდება სახაზინო რკინის გზის საშემოსავლო ნაწილის უფროსის თანაშემწეთ ამავე ნაწილის საანგარიშო განყოფილების გამგე მიტროფანე ქველის ძე ჯაფარიძე ამა წლის 15 აგვისტოდან.

29 დეკემბერი, 1919 წ., № 124.

მტკიცდება სტამბა-ლიტოგრაფიის უფროსის თანაშემწედ ამავე სტამბაში მომუშავე ივანე მათეს ძე ნაცვლიშვილი 1 იანვრიდან 1920 წ.

30 დეკემბრი, 1919 წ., № 125.

მტკიცდება 1 დეკემბრიდან ამა წლისა სამექანიკო ნაწილის მე 3 უბნის უფროსის თანამდებობაზე მე-3 უბნის უფროსის თანაშემწე ინჟენერი დიმიტრი ევგენის ძე გვანცელაძე.

30 იანვარი, 1920 წ., № 10.

მტკიცდება სახაზინო რკინის გზის სტამბა-ლიტოგრაფიის უფროსის თანამდებობაზე ამა წლის 20 იანვრიდან იმავე გზის ლიანდაგის ნაწილის საქმისმწარმოებელი ლავრენტი ორაგის ძე ასათიანი.

30 იანვარი, 1920 წ., № 11.

ვამტკიცებ: ალექსი ქრისტეფორეს ძე ხუმარაძეს 15 ამა იანვრიდან სახაზინო რკინის გზათა ლიანდაგის მე-6 უბნის უფროსის თანაშემწეთ ჯამაგირით თვეში 3000 მან

30 იანვარი, 1920 წ., № 12.

ვამტკიცებ: ინჟენერ შალვა ფილიპეს ძე ხელაძეს 22 ამა იანვრიდან სახაზინო რკინის გზების ლიანდაგის მე 5 უბნის უფროსის მოადგილეობის აღმასრულებლად ჯამაგირით თვეში 4000 მან.

გზათა დეპარტამენტის
დირექტორი ჭიჭინაძე.

—

### მთავარ საბაჟოსი.

17 გიორგობისთვე, 1919 წ. № 33.

**ინიშნება:** მთავარ საბაჟოში: მიწათმოქმედების სამინისტროს სამიჯნაო განყოფილების მიწის მზომელი იონა ე. ბოკერია მდივნის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად 17 გიორგობისთვიდან 1919 წ.

—

21 გიორგობისთვე, 1919 წ., № 34.

**ინიშნებიან მთავარ საბაჟოში:** ამავე საბაჟოს საწყობის ზედამხედველის უმცროსი თანაშემწე პ. ქიქოძე საწყობის ზედამხედველის უფროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად; ნატანების საბაჟოს ბუღალტერი ალ. ჩიხლაძე საწყობის ზედამხედველის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად; ამავე საბაჟოს ბუღალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ა. აბესაძე მდივნის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად; ამავე საბაჟოს რეგისტრატორი ე. ახვლედიანი-ბუღალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად; თავისუფალი მოხელე მთავარ საბაჟოსი ვ. შენგელია რეგისტრატორის თანამდებობის აღმასრულებლად; თავისუფალი მოხელე მთავარ საბაჟოსი ს. ხმიადაშვილი რეგისტრატორის თანამდებობის აღმასრულებლად; ამავე საბაჟოს ბუღალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ი. სალაყაია საწყობის ზედამხედველის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად; ფოთის საბაჟოს ბუღალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ლ. კარბელაშვილი ამავე თანამდებობაზე.

**ფოთის საბაჟოში:** მთავარ საბაჟოს თავისუფალი მოხელე დ. შავდია ბუღალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად დარჩება მთავარ საბაჟოში მოხელეთა შტატის გასაძლიერებლად; ამავე საბაჟოს მანქანაზე გადამწერი გ. მინაევი ბუღალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად, თავისუფალი მოხელე ამავე საბაჟოსი კ. ი. კახიანი მანქანაზე გადამწერათ.

**სოხუმის საბაჟოში:** თავისუფალი მოხელე ამავე საბაჟოსი კორჩიცა რეგისტრატორათ და ნოვოროსიის უნივერსიტეტში ფიზიკო მატემატიკურ ფაკულტეტის კურს დამთავრებული სოფიო ცანავა მანქანაზე გადამწერად.

**აბასთუმანის საბაჟოში:** მთავარ საბაჟოს საწყობის ზედამხედველის უმცროსი თანაშემწე გარდამაშვილი გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად და რჩება მთავარ საბაჟოში მოხელეთა შტატის გასაძლიერებლად.

**ირიცხებიან სამსახურიდან: ფოთის საბაჟოში:** ამავე საბაჟოს ბუღალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ბ. ბჟალიძე, თანახმად მისივე თხოვნისა 12 ნოემბრიდან 1919 წ.

**ახალ-ათონის საბაჟოში:** ამავე საბაჟოს გამგის თანაშემწე კ. ჯინჭარაძე, თანახმად მისი თხოვნისა 1 ნოემბრიდან ამა წლისა.

**ვორონცოვკის საბაჟოში:** ამავე საბაჟოს გამგის თანაშემწე კ. ბრეგვაძე, თანახმად თხოვნისა, ამა წლის 10 ნოემბრიდან.

ზემოდასახელებულნი პირნი ინიშნებიან ხსენებულ თანამდებობაზედ 1 ნოემბრიდან 1919 წ. გარდა შენგელაიასი, რომელიც ინიშნება 4 ნოემბრიდან, გ. მინაევისა და კახიანისა, რომელნიც ინიშნებიან 12 ნოემბრიდან ამა წლისა.

მთავარ საბაჟოს გამგე ბ. მიქაძე.

—

### იუსტიციის მინისტრისა.

29 დეკემბერი, 1919 წ. № 341.

**დაინიშნა:** 1919 წ. დეკემბრის 29 დან ნოვოროსიის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის კურს დამთავრებული ალექსანდრე პორფირეს ძე ინასარიძე სოხუმის ოლქის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად, ხოლო განსაზღვრა საგამომძიებლო უბნისა, რომლის გამგებლობა დაეკისრება ინასარიძეს, მიენდოს ხსენებულ ოლქის სასამართლოს, რომელმაც თავისი გადაწყვეტილება უნდა მოახსენოს სამინისტროს.—

იუსტიციის მინისტრის მაგ. გ. ჟორდანია.

## არა ოფიციალური განყოფილება

## შინაგან საქმეთა სამინისტროში.

### ერთდროული მიწაზედ გადასახადის შესახებ.

გორის მაზრის სოფ. ატოცის მცხოვრებნი შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობენ, რათა ერთდროული გადასახადის 41,891 მან. 35 კაპ. ხაზინაში შეტანის ვადა გაგრძელდეს აგვისტოს დამლევამდე. თავის შუამდგომლობას სოფ. ატოცის მცხოვრებნი იმით ასაბუთებენ, რომ ხსენებულ სოფელს აუშენებია ორკლასიანი სკოლა, რაც ზემოხსენებულ გადასახადზე მეტი დაჯდომიათ. სოფლის მდგომარეობა ცუდი ყოფილა და ამიტომ სოფელი თანახმაა ამ დროით გადაიხადოს სანიტარული გადასახადი 10000 მან ხოლო ერთდროული გადასახადის ვადა კი გაგრძელდეს აგვისტოს ვადამდე.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს შუამდგომლობა ფინანსთა სამინისტროს გადაუგზავნა დასკვნისათვის.

### ს. შულავრის შუამდგომლობა.

გადასახადთა სამმართველოს უფროსმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და სთხოვა ეცნობებია მას მისი დასკვნა შესახებ ს. ს. დიდი და პატარა შულავრის მცხოვრებთა თხოვნისა, რომლებიც ერთდროული გადასახადის ვადის გაგრძელებას ითხოვენ. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი დაეთანხმა ფინანსთა მინისტრის აზრს, რომლის დასკვნის თანახმათ ხსენებული სოფლების მცხოვრებნი შეიტანენ გადასახადის პირველ ნაწილს ივნისამდე, ხოლო მეორე ნაწილს კი ოქტომბრამდე.

## კულტურული მუშაობა ჯარში

1 იანვრიდან სწარმოებდა კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ჯარში. ჯარის სხვა და სხვა ნაწილებში წაკითხულ იქმნა ლექციები და საუბრები. მე-7, მე-5 სადარაჯო და სანაპირო ათასეულებში წაიკითხა ლექცია სამხედრო სამინისტროს კულტურულ სექციის უფროსმა ალ. ჟორჟოლიანმა შემდეგ თემებზე: „დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ“ და იგივე სამხედრო თვალსაზრისით პოლკ. ტ. არომელიძემ: „ბოლშევიზმი ახალი პოლიტიკა და ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები“— ხსენებულ ნაწილებში საუბრები გამართა პოლკ. ართმელაძემ დისციპლინის მნიშვნელობის შესახებ.

ზემოხსენებული ლექციები და საუბრები წაკითხულ იქმნა წვრილ ნაწილებისთვისაც, როგორც არის: საავტომობილო, საავიაციო, სამხედრო სამინისტროს მწყობრს გარეშე და რადიო ტელეგრაფის გუნდებში.

სახელმწიფო თეატრში სამხედრო სამინისტროს კულტურულ-განმანათლებელ სექციის თაოსნობით ტფილისში მდგომ ნაწილებისათვის მოეწყო ოპერები „აბესალომ და ეთერი“ და „ფაუსტი“ უფასოთ.

სექციას განზრახული აქვს ახლო მომავალში სახელმწიფო თეატრში მოაწყოს „სამშობლო“ და „ღალატის“ წარმოდგენა. პიესები დაიდგმება ალ. წუწუნავას რეჟისორობით და საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

## ერობა

### მთავარ კომიტეტში.

ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტის სხდომაზე მოსმენილ იქნა ქუთაისის საწყობების წარმომადგენლის ალ. პაპავას მოხსენება საწყობის ეხლანდელი მდგომარეობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ამ ჟამათ საწყობების საქონლის სიები მზათ არის, მხოლოდ ფასები არ არის გამორკვეული. საზოგადოთ საქონლის მდგომარეობა ისეთია, რომ რამდენიც მეტ ხანს დარჩება საწყობში გაუნაწილებელი, მეტი ზარალი იქნება, ვინაიდან საქონელი ფუჭდება და შენახვა ხარჯებს იწვევს. კომიტეტმა ამ საკითხის შესახებ დაადგინა: 1) საჭიროა კომიტეტს ექნეს მუდმივი საწყობები, ამიტომ ისეთი საქონელი, რომელიც არ ფუჭდება და ერობებს ამ ხანად არ სჭირიათ, თავი მოეყაროს ერთ საწყობში. 2) გამორკვეულ იქნეს საქმის მდგომარეობა მთავრობასთან და მიეცეს მას იურიდიული და კანონიერი ფორმა. 3) დაუყონებლივ მოხდეს ლიკვიდაცია იმ საქონლის, რომელიც ფუჭდება. 4) საქონლის ღირებულებათ მიღებულ იქნას მთავრობის შეფასება გასული წლის თებერვლისა და ამ ფასის მიხედვით განისაზღვრება ერობების მიერ წაღებული საქონლის საფასური. ამ ჟამათ კი შედგენილი სიების თანახმათ მოხდეს შეფასება ტფილისის მომარაგების კო-

მიტანის ფასების კვალობაზე. იმ საქონლის შეფასება, რომელიც კომიტეტს საწყობში მოეპოვება და მათ შესახებ ფასები არ არის გადაჭრილი ტფილისის მომარაგების კომიტეტში—მიენდოს სპეციალურად ამისთვის შემდგარ კომისიას.

### მანუფაქტურა.

იტალიელ მოვაჭრეთა ერთ-ერთმა ფირმამ ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტს წინადადება მისცა მანუფაქტურის შეძენის შესახებ. კომიტეტმა ამ წინადადების გამო დაადგინა, რომ ცნობილ ფირმას წარმოადგინოს წერილობითი განცხადება კომიტეტში, აგრეთვე მანუფაქტურის ნიმუშები, ფასი და შემდეგ იქნეს გადაწყვეტილება გამოტანილი—შეძენის შესახებ.

### წლიური მოქმედების ანგარიში.

ერობათა მთავარ კომიტეტს ახობაძე-ტკაჩევმა განცხადებით მიმართა, რომლითაც მოითხოვს მის მიერ დამზადებულ ნაშრომის, ერობათა მოქმედების პირველი წლის ანგარიშის გამოცემისათვის ზომების მიღებას. კომიტეტმა დაადგინა: ვინაიდან კომიტეტისა და ერობათა წარმომადგენლების მიერ დადგენილია ერობათა წლიური ნამოქმედარის გამოცემა—ამისათვის კომიტეტი მალე შეუდგეს მის გამოცემას.

### ჟურნალი.

კომიტეტისა და ერობათა წარმომადგენლების დადგენილების თანახმად გამოცემულ იქნება ყოველ თვიური ჟურნალი „ერობა“ რომლის რედაქტორობა ეთხოვოს გრ. ლორთქიფანიძეს.

---

# საჭიროა დახმარება.

საქართველოს ერობათა წარმომადგენლების ყრილობაზე გამოთქმულ იქნა ის აზრი, რომ საჭიროა მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ჩვენი რესპუბლიკის ჩამორჩენილ კუთხეებს და აღმოუჩინოს მათ ყოველივე დახმარება შესაძლებლობის ფარგლებში, რომ მათი კულტურული თუ ეკონომიური მდგომარეობის დონე ამაღლდეს და ამით მიღწეულ იქნას ერთგვარი სახელმწიფოებრივი წონასწორობაო.

ეს აზრი მართლადაც, რომ მისასალმებელია, მხოლოდ საჭიროა მისთვის რეალურ შინაარსის მიცემა და დაუყონებლივ ცხოვრებაში გატარება.

გაკეთდა რაიმე ამ მხრივ?—სამწუხაროთ არაფერი: ერთი წელიწადია რაც დუშეთის მაზრაში მოქმედობს ერობა, წელიწადია რაც მონობაში აღზრდილი ხალხი ეღირსა ამ დაწესებულებას, მაგრამ... იმედები გაუცრუვდა... ერობამ მას ვერაფერი მიუტანა, ვერაფერი შესძინა. დაბეჩავებული, გაძვალტყავებული და მშიერი მთიული, ფშაველი, თუ მოხევე ისევ უბედურ მდგომარეობაში დარჩა.

მისთვის „არც გათენებულა და არც გათენდება“, როგორც ამას ხშირათ გაიგონებთ მათგან.

ბოლშევიკების მიერ დანგრეულ, ეკონომიურათ დაქვეითებულ და კულტურულათ ჩაწყვდიადებულ მაზრაში მოუხდა მუშაობა ერობას. ას ორმოცდა ათი ვერსის მანძილზე გადაჭიმულ მაზრაში 14 პირველ დაწყებითი სასწავლებელი იყო, არც მაღალ დაწყებითი, არც საშუალო მთელს მაზრაში არ მოიპოვებოდა. 14 დაბალი სასწავლებელი და ისინიც ბრბოთა მიერ გაპარტახებული.

ერობა შეუდგა მუშაობას. სასწავლებელთა რიცხვი ჯერ-ჯერობით 40 დე გაადიდა, გახსნა მაღალ დაწყებითი სასწავლებლები და ყოველივე ზომებს იღებს ამ დარგის სათანადო ნიადაგზე დასაყენებლათ.

ანტისანიტარულ პირობებში მცხოვრებ ხალხს შველა უნდოდა: ერობამ მოიწვია ექიმები, ფერშლები, ბებიები გახსნა საავათმყოფოები, ამბულატორიები და აფთიაქები. მარტო ამ დარგში ჯამაგირები თვიურათ 200000 მ.ნ. მეტი იხარჯება. აფთიაქებში და ამბულატორიებშიაც დიდი დეფიციტია.

ერობამ მოიწვია აგრონომი, აგრონომიული ინსტრუქტორები, სტაროსტები. მიწის მზომლებს სამინისტროს მიერ განსაზღვრული ჯამაგირებით ვერ ვშოულობდით. ერობამ, როგორც აგრარულ რეფორმის დაჩქარებით გატარებაში დაინტერესებულმა ორგანომ გაუდიდა მათ ჯამაგირები ერთი-ორათ.

მაზრაში შემოღებულ იქნა წვრილი ერთეულები. ამათაც სამაზრო ერობის სალაროდან დახმარება მიეცათ.

მაზრის ნახევარი ნაწილი მეჯოგეობას ეწევა. ერობამ მოიწვია ექიმი—ვეტერინარები და ფერშლები. ყველა ჩამოთვლილ საქმე და ათას სხვას ამ ზღაპრულ სიძვირეში დიდი თანხა ესაჭიროება, რაც უნდა მინიმუმით ვიხელმძღვანელოთ.

ერობას კი შემოსავლის წყარო არ მოეძებნება და აი, წლის განმავლობაში ერობის დეფიციტი მილიონებით იზრდება. საჭიროა დახმარება ცენტრიდან. აღძრულია მთავრობის წინაშე შუამდგომლობა სესხის სახით 5000000 მანეთის მიცემის შესახებ; თუ შუამდგომლობა დაკმაყოფილებული არ იქნა ერთი თვის შემდეგ ფინანსიური კრახი მოხდება და ერთხელ აშენებული საქმე კვლავ სახათაბალოთ გადაიქცევა.

საჭიროა დახმარება.

თ—ლი.

---

# დეპეშები.

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო).

### ფრანგული ცნობები

საზოგადოებრივ მზრუნველობის ახალ მინისტრს მომავალში დიდი სამუშაო ექნება. „ლე ჟურნალის“ სიტყვით მას ჯერჯერობით დაუკმაყოფილებია 660 ათასი პენსია, დაუკმაყოფილებელია დაახლოებით ხუთჯერ მეტი სახელდობრ: 1,474 ათასი პენსია შრომის უნარდაკარგულთათვის და სულ კი 3,200,000 პენსია. ამას უნდა მიუმატოთ 2,400,000 თხოვნა პენსიის მომატების შესახებ, რომლებიც გამოწვეულია მახოვნელების მრავალ რიცხოვანი შვილების ყოლის გამო. შემდეგ 600,000 პენსია დემობილიზაციით გაშვებულთათვის, შემდეგ რიგი პენსიის დანიშვნა სამოქალაქო მცხოვრებთადმი, რომელნიც ომისაგან დაზარალდნენ და დღემდის არ არიან დაკმაყოფილებულნი.

პასტერის ინსტიტუტი სჩივის, რომ ომის განმავლობაში თითქმის სრულებით შესწყდა გაშენება ზღვის პატარა ლოკოკინისა და თეთრი თაგვების, რომელნიც ინსტიტუტს სამეცნიერო ცდისათვის სჭირდება; ფასი ამ ცხოველებზე საშინლად გაიზარდა. ზოგმა პირმა, დაინახა რა ამგვარ ვაჭრობაში დიდი მოგების იმედი დაიწყო ვაჭრობა და ამგვარად ფასები უკიდურეს საზღვრამდის აიყვანეს. „იკლერი“ ამბობს, უმაღლესმა არისტოკრატიამ ხელი ჰკიდა ამ საქმეს, რომელიც ბევრად უფრო მეტს იძლევა, ვიდრე მსხვილი საქონლის გამრავლებაო. ერთი მარკიზა ზღვის თვითეულ პატარა ღორს ჰყიდის სამ ფრანკად და უარს ამბობს ერთ გაყიდვაზე 12 ზე ნაკლები გაჰყიდოს, ერთი გრაფის ქალი კი თვითეულ თეთრ თაგვს ფრანკზე ნაკლებ არ ჰყიდის.

ამერიკის სამხედრო მასალით დატვირთული ასი ვაგონი კობლენცში ნახევრის ფასად გაიყიდა. პოლონეთის ჯარის 300,000 კაცი გამოწყობილია ამერიკის მუნდირებით, შინელებით, ქუდებით და სხვა.. მოვიდა ამერიკაში დაბადებული და აღზრდილი 70,000 პოლონელი, იმ მიზნით, რათა თავის სამშობლოს თავისუფლება დაიცვას.

ვარშავაში საშინელი სახით ინფლუენცია მძვინვარებს.

შაბათს პუანკარეს თავმჯდომარეობით უმაღლესი სამხედრო საბჭო შეიკრიბება.

კვირას შე დგება მინისტრთა საბჭოს სხდომაა, რომელზედაც განიხილავენ პურის საკითხს

### ფრანგული პრესა.

ვენის საიმპერატორო სასახლეში ცეცხლი გაჩნდა. მებელი და მხატვრული ნივთები გადაარჩინეს. მატერიალური ზარალი მცირეა.

რომიდან მოსული ცნობით, იტალიის მთავრობა ფონ-დიუციუსის კვირინალში გერმანიის საქმეთა ვექილათ დანიშვნის წინააღმდეგ არ არის.

ერცბერგერის მდგომარეობა უმჯობესდება. ფიქრობენ, რომ კვირის ბოლოს იგი თავის საქმეს დაუბრუნდება.

ლონდონიდან იუწყებიან: ან ლოიდ ჯორჯი და ან ბონარ ლოუ, ან შეიძლება ორივეც დაესწრონ კონფერენციას, რომელიც ამ კვირის დამლევს მოხდება ქალაქის უმთავრეს ფინანსისტებსა და სახელმწიფო ხაზინის ლორდ კენცლერს შორის ვალიუტის საკითხის შესახებ.

საკითხი შემდეგ გადატანილი იქნება მინისტრთა კაბინეტში, რომელსაც მიანდობენ დიდ საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლებთან შეთანხმებას, რათა მათ ერთად მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გამოიმუშაონ საჭირო ზომები.

ელჩების კონფერენცია, რომელსაც ორშაბათს ექნება სხდომა, განიხილავს გერმანიისადმი დამნაშავეთა სიის გადაცემის საკითხს და ამით განახორციელებს საზავო შელშეკრულების 228 მუხ. ეს სია დიდი ხანია რაც შედგენილია. წინათ ამ სიაში შეტანილი იყო 1200 პირი. შემდეგში ინგლისის ლორდ კანცლერის ბირკენხედის თავმჯდომარეობით შესდგა კომისია ამ სიის გადასასინჯათ, ამ კომისიამ ეს ციფრი 900 შეასრულა. საფრანგეთმა, რომელიც 500 პირს ითხოვდა, ეს რიცხვი 334 დის დაიყვანა. ბელგია დაახლოებით ამდენ ავე პირს ითხოვს. პასუხის მგებელთა შორის, რომელთაც საფრანგეთი ითხოვს, არიან: საიმპერატორო ოჯახის პრინცები, მათში ექს კაიზერის ორი ვაჟი, კრონპრინცი, რომელიც გერმანიამ ჰოლანდიიდან უნდა მოითხოვოს, პრინცი გიტელ ფრედერიკი, გენერალი ფონ კლიუკი, გინდენბურგი ლიუდენდორფი და სხვა. სიას, ალბათ ორშაბათს გადასცემენ ფონ ლერსნერს, რომელიც გერმანიაში რამოენიმე დღით დაბრუნებულ მაიერის მოვალეობას ასრულებს.

ვარშავიდან იტყობინებიან: ციმბირში მყოფ ინგლისის მთავრობის წარმომადგენლის მოთხოვნით ციმბირში მყოფი პოლონელთა ჯარები და ავსტრიის ჯარის მიერ დატყვევებული პოლონელები სამშობლოში იქნებიან დაბრუნებულნი.

**მოსკოვი**, თებერვლის 2. ბოლშევიკური ცნობები.

**სამარა**, თებ. 2. მიღებული ცნობების თანახმად ყუბანის რადის ყოფილმა თავმჯდომარემ მასკარენკომ მწვანე არმიის სარდლობა მიიღო. ეს არმია ნოვოროსიისკ ოჩის ხაზზე სდგას და 12 ათასი კაცისაგან შესდგება.

მე 14 არმიის შტაბი იან. 31 ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართული ტერორი ძლიერ გაძლიერდა.

**გომელი**. იან. 31. გაზ „ბობრუისკი კურიერ“-ი იუწყება, რომ იყო შემთხვევები როდესაც დენიკინის ჯავშნიანი მატარებელი უხლოვდებოდნენ ბოლშევიკურ ხაზს და ისროდნენ სახადიან ავადმყოფებს რათა წითელ არმიაში ავათმყოფობა შეეტანათ.

**გომელი**. იანვ. 31. გაზ. „ბობრუისკი კურიერი“ იუწყება, რომ პოლკოვნიკი ბერმონტ-ავალოვი გაიქცა და საგრძეში მოეთავსესო.

**ლიონი**. ინვ. 6. სტოკჰოლმიდან იუწყებიან მოკავშირეთა მისიის მოთხოვნილებით, იუდენიჩი თავისი უფლება მიანიჭა.

**მოსკოვი**. სამხედრო ცნობა. თებ. 2 რიჟიცის მიმართულებით არტილერია მოქმედებს. ოლვიოპოლის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სად. პომოშნაია აიღო. ვოზნესენსკის სამხრეთით 10 ვერსზე ჩვენ მტრის იერიშები მოვიგერიეთ. პერეკოპის რაიონში ჩვენ მტერი სამხრეთით 20 ვერ. უკან დავხიეთ. ნოვოჩერ-

---

# საქართველოს კონსტიტუციისთვის.

მაგრამ ახლა შედარებებს თავი დავანებოთ და სხვა დემოკრატიულ კონსტიტუციების არსებითი მხარეები წარმოვიდგინოთ, რამდენათაც ეს ჩვენი თემისთვის არის საჭირო და აუცილებელი.

ჩრ. ამერიკულ შეერთებული შტატებიც დემოკრატიული რესპუბლიკაა, რომელიც შესდგება 50 დე პატარა რესპუბლიკისაგან. ამერიკის ამ დიდს ფედერაციაში საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის კონგრესს (პარლამენტს), რომელიც დეპუტატთა პალატისა (მთელი ხალხის წარმომადგენლობა) და სენატისაგან (შტატების წარმომადგენლობა) შესდგება. აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს პრეზიდენტი, რომელიც ირჩევა ხალხის მიერ ოთხი წლით. ერთი და იგივე პირი, ჩვეულების ძალით, პრეზიდენტად მესამეჯერ აღარ აირჩევა, რომ მისი ძალა-უფლება მუდმივი და ხალხისთვის საშიშარი არ გახდეს. ამერიკის პრეზიდენტი ერთი უძლიერეს პრეზიდენტთაგანია ყველა რესპუბლიკის პრეზიდენტთა შორის. რაში მდგომარეობს მისი უფლება და მოვალეობა?

ამერიკის პრეზიდენტი განაგებს ჯარს, ფლოტს და მილიციას. სდებს ხელშეკრულობას სხვა სახელმწიფოებთან სენატის თანხმობით. ნიშნავს ელჩებს და ყველა მოხელეებს. აქვს შეწყალების უფლება. შეუძლია საგანგებო შემთხვევებში მოიწვიოს პარლამენტი. აქვს ვეტოს უფლება: მას შეუძლია არ დაეთანხმოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს, ამ შემთხვევაში ის უკან აბრუნებს კანონს ხელახლა განსახილველად ათი დღის განმავლობაში. მეორედ განხილვის და დადასტურების შემდეგ კანონი ძალაში შედის მიუხედავად პრეზიდენტის თანხმობა უთანხმოებისა. პრეზიდენტი აცნობს პარლამენტს საერთო მდგომარეობას, უთითებს საჭირო ზომებს, ზრუნავს კანონის ასრულებისთვის და სხ. ომიანობის დროს ამერიკის პრეზიდენტი პირდაპირ დიქტატორული უფლებით იმოსება.

დაუკვირდით აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაციას. მინისტრებს ნიშნავს თვითონ პრეზიდენტი. მაშასადამე, ისინი პასუხისმგებლები არიან პრეზიდენტის და არა პარლამენტის წინაშე. აღმასრულებელი ხელისუფლება სრულებით ჩამოშორებულია საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან. მთავრობის წევრები ვერასოდეს ვერ იქნებიან პარლამენტის წევრები, მათ არა თუ ხმის მიცემა და მსჯელობა, პარლამენტის სხდომებზე დასწრების უფლებაც არ აქვთ. პოლიტიკური პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე, თავისთავად ცხადია, ასეთ სისტემაში არ არსებობს. პრეზიდენტი მხოლოდ ხალხის წინაშე აგებს პასუხს პირდაპირ და სრულიადაც არ არის ვალდებული არც ის და არც მისი მინისტრთა კაბინეთი პოლიტიკური პასუხისმგებლობა იგრძნონ პარლამენტის მიმართ.

ამ ნაირათ ამერიკული უფლობა განაწევრებული დემოკრატიის წყობილება სულ სხვა გვარის და ბუნების არის, ვიდრე შვეიცარიაში და საფრანგეთში არსებული დემოკრატიები. შვეიცარიაში პარლამენტი ირჩევს მთავრობას, როგორც თავის გადაწყვეტილებათა და კანონთა ამსრულებელ ორგანოს. საფრანგეთში პრეზიდენტი უპასუხისმგებლოა (გარდა სახელმწიფოებრივი ღალატისა), მაგრამ, როგორც დავინახავთ, მინისტრები ცალ ცალკე და საერთოთ მთელი კაბინეთი სოლიდარულად პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე, საიდანაც სდგება პრეზიდენტის მიერ დანიშნულ პრემიერ მინისტრის თაოსნობით პოლიტიკური სამინისტრო. ამერიკის დემოკრატიაში კი პრეზიდენტი პასუხის მგებელია ხალხის წინაშე, ხოლო მის მიერ დანიშნული მინისტრები ხოლოდ და მარტოოდენ მას ემორჩილებიან და სრულებით დამოუკიდებელნი არიან პარლამენტისაგან. აქედან აშკარად სჩანს, რა უუფლებო და პოლიტიკურათ სუსტს თანამდებობას წარმოადგენს შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტი, რომელიც ამავე დროს მთავრობის თავმჯდომარეცაა და თავის კოლეგიაში მხოლოდ პირველია თანასწორთა შორის.

მკითხველს, ვიმედოვნებთ, არ გაუჭირდება იმ აუცილებელი დასკვნის გამოტანა ზემოხსენებულიდან, რომ საქართველოს დემოკრატიულ წყობილებას და მის კონსტიტუციას არ მოუხდება და არც შეეფერება ამერიკის უფლობა-განაწევრებული დემოკრატიის ურთიერთული დამოუკიდებლობა აღმასრულებელი ხელისუფლების და პარლამენტის და მისი პრეზიდენტის უფლობა მოსილობა. ჩვენ ჩვენი პოლიტიკურ წყობილებისთვის ვერ ვღებულობთ სავსებით შვეიცარიის დემოკრატიის კონსტიტუციას შესახებ მთავრობის მოწყობისა. ვერ მივიღებთ ჩვენი კონსტიტუციისთვის ვერც ამერიკულ დემოკრატიის უპასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე. იმაზე აღარ გვინდა შევჩერდეთ, რომ საქართველოს დღევანდელი სახელმწიფოებრივი აღმაშენებლობის ცდა დიდათ განსხვავებულია ამერიკის კონსტიტუციურ გაკვეთილებისაგან. ჩვენთვის ამერიკის დიდი დემოკრატია დიდი მაგალითია, მისი მდიდარი ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა მშვენიერი და ჭკუის მასწავლებელია ყველა დემოკრატიის პოლიტიკური შემოქმედებისა და ცხოვრებისათვის. მხოლოდ არ ვფიქრობთ ამ საკითხში, ე. ი. სახელმწიფოებრივ ძალა-უფლების ორგანიზაციის საქმეში მისი წაბაძვა ხელსაყრელი იყოს ჩვენთვის.

დაგვრჩა პარლამენტარული დემოკრატიის განხილვა. მაგრამ გზა და გზა მის შესახებ იმდენი ვილაპარაკეთ, რომ სათქმელი ბევრი აღარ გვექნება. ვიხელმძღვანელოთ საფრანგეთის მაგალითით.

საფრანგეთის რესპუბლიკაში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელია პრეზიდენტი, რომელსაც პარლამენტის ორივე პალატის—სენატის და დეპუტატთა პალატის—შეერთებული კრება (ნაციონალური კრება) ირჩევს 7 წლით. ვინც იცის რა ტანჯვით და ბრძოლით წარმოიშვა საფრანგეთის რესპუბლიკა, რა მონარქისტული დაბრკოლებანი ელობებოდა მის საბოლოო აღიარებას და დაფუძნებას, მას არ გაუკვირდება ასეთი დიდვადიანი საპრეზიდენტო თანამდებობა. მაინცა და მაინც ამ ვადის დაწესების გარეგნული საბაბი ის იყო, რომ მარშალი მაკმაგონი მეთაურობდა აღმასრულებელ ხელისუფლებას შვიდი წლის განმავლობაში. საფრანგეთის პრეზიდენტს ძალიან დიდი უფლებები აქვს მინიჭებული. მას ემორჩილება მთელი შეიარაღებული ძალა, იგი ნიშნავს მოხელეთ, სდებს ხელშეკრულებებს სხვა სახელმწიფოებთან და სხ. აქვს უფლება ხელმეორედ გაახილვინოს კანონი პარლამენტს. აგრეთვე მას აქვს უფლება სენატის თანხმობით დაითხოვოს დეპუ-

კასის რაიონში ჩვენი ჯარი მანიჩსკაიას ხელში ჩაიგდებათ შილევას აწარმოებს. აღმოსავლეთით მდ. მანიჩის მარჯვენა ნაპირზე ჩვენ სოფლები დავიჭირეთ.

**ლიონი**, იანვ. 31. საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიას ალბათ შესაძლებლათ მიაჩნია დედამიწის და პლანეტებს შორის დამოკიდებულება, რადგანაც მან პრემია დანიშნა (გამოტოვებულია)... აკადემია საზოგადოთ უარს აცხადებს პრემიის დანიშვნაზე ისეთი საკითხების გადაწყვეტის დროს, როდესაც მას ეს შეუძლებლად მიაჩნია.

# უცხოეთი

### რუსეთი.

ფრონტზე დამარცხებისა და სხვა მრავალგვარი მიზეზების გამო აჯანყებებმა ყუბანში ამ უკანასკნელ ხანებში ფართო ხასიათი მიიღო. „მოხალისეთა" სარდლობამ ფრონტიდან გამოიწვია გენ. შკურო აჯანყების ჩასაქრობათ. დენიკინს სათადარიგო რაზმები არა ჰყავს. ჯარში გაიწვიეს მღვდლებიც, რომლებიც საგარნიზონო სამსახურს ასრულებენ. ჩრდილო კავკასიაში დენიკინელებმა დერბენტიდან დაიხიეს. „მოხალისეთა" ჯარისკაცები ხშირათ ყრიან იარაღს და გარბიან. ნაწილი მიეშურება სახლში, ნაწილი—„მწვანე არმიელებს" უერთდება.

**კოცევის გეგმები.** გაზ. „ვოლნი გორეც"-ის ცნობით კავკავის მთიელთა სფეროებში თავი იჩინა მიმდინარეობამ, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული მთიელთა მთავრობის მოწყობა. ამ მიმდინარეობას სათავეში უდგას პშემახო კოცევი, რომელიც მთიელთა ყოფილ მთავრობის თავმჯ. იყო და „მოხალისეთა" სხვა მოღვაწენ; კოხევთან არიან მისი კოლეგები— გენ. ხალილოვი, ტარკოვსკი, ბუგაევი და სხ. მოსალოდნელია, რომ „მოხალისენი" მალე დასტოვებენ თერგის ოლქს.

### დაღესტანი.

„ვოლნი გორეც"-ის ცნობით: სოფ. კარ უშკენტში მოხდა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ დაღესტანისა და აზერბეიჯანის წარმომადგენლები და ოსმალეთის ფაშები. თათბირის მიზანს შეადგენდა დაეთანხმებია დაღესტანელები აზერბეიჯანთან შეერთებაზე მაგრამ, ასეთი გეგმები ჩაიშალა; დაღესტანელებმა ასეთ წინადადებაზე კატეგორიული უარი განაცხადეს; ისინი მომხრენი არიან მთიელთა დამოუკიდებელ რესპუბლიკისა, რომელშიაც თერგის ოლქიც უნდა შედიოდეს. კეთილ მეზობლურ დამოკიდებულებას აზერბეიჯანიდან დაღესტანი დაამყარებს, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

### ოსმალეთი.

ოსმალეთის საკითხისათვის. გაზ. „ომლიბრ"-ის ცნობით ლლოიდ ჯორჯი და ლორდ კერზონი იზიარებენ საფრანგეთის პროტესტს ოსმალეთის შესახებ, რომლის თანახმადაც ხალიფატი კონსტანტინოპოლში უნდა დარჩეს ხოლო სრუტეები ნეიტრალურათ უნდა იქნეს გამოცხადებული. აღმოსავლეთის საკითხის საბოლოოთ გადაწყვეტა, როგორც ამბობენ, მარტამდე გადაიდება.

### უ ნ გ რ ე თ ი.

თეთრი ტერორი. შვეიცარიის პრესა ათავსებს ცნობებს თეთრი ტერორის შესახებ, რომელიც უნგრეთში მძვინვარებს მონარქისტების გამარჯვების შემდეგ. ვენიდან მოსული ცნობებით ბუდაპეშტში და სხვა ალაგებში 500 მდე კაცი მოუკლავთ. ჰკლავენ არა მარტო ისეთებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ საბჭოთა მთავრობაში და მის რაზმებში, არამედ—ისეთებსაც, ვინც მათ წინააღმდეგ იბრძოდა. უნგრელ სოციალისტებმა მოწოდებით მიმართეს ჩეხო სლოვაკიისა და ავსტრიის სოციალისტებს, რათა მათ მიიღონ ყოველგვარი ზომები ამ სისხლის ღვრის წინააღმდეგ. ასეთივე თხოვნა გაეგზავნა ბუდაპეშტში მყოფ იტალიის მისიასაც.

### ბოლშევიკურ როსტოვში.

ტყვეთ წამოყვანილი წითელი არმიელები გადმოგვცემენ, რომ როსტოვის აღების შემდეგ ბოლშევიკებმა რეკვიზიცია მოახდინეს ყველა დიდი სტამბებისა და დაიწყეს შემდეგი გაზეთების გამოცემა: „როსტოვის საბჭოს უწყებები", „კრასნაია ზვეზდა", „იუჟნი კომუნისტი", ჟურნალი „ვოზროჟდენიე". „იზვესტია" იბეჭდება „პრიაზოვსკი კრაის" სტამბაში, „კრასნაია ზვეზდა" მოხალისეთა საგანგებო სათათბიროს საპროპაგანდო განყოფილების სტამბაში.

როსტოვიდან გამოქცეულების გადმოცემით ბოლშევიკების შემოსვლიდან ქალაქში არავითარი სურსათი აღარ შემოდის, ამის მიზეზათ უმთავრესათ შეიძლება ჩაითვალოს როსტოვის მოწყვეტა როგორც სდ. ბატაისკიდან, ისე ახლო მახლო სტანიცებიდან. ხორცი და თევზი სრულიად არ იშოვება. გირვანქა პურის ფასი 80 მანეთამდე ავიდა, ერბო ღირს 400 მანეთი გირვანქა.

# მუნიციპალური ცხოვრება.

### ხაშურის ქალაქის საბჭოში უკანასკნელი დადგენილებანი.

ეთხოვოს ვაჭართა და ხელოსანთა საბჭოს, რომ მან სამი დღის განმავლობაში წარმოგვიდგინოს სიები სავაჭრო და სახელოსნოების პატრონებისა სამ დარგათ: 1 დარგში შევლენ ღვინით მოვაჭრეები, 2) საწვრილმანოების პატრონები და 3) სახელოსნოების პატრონები და ესენი უნდა იყვნენ დაყოფილნი სამ კატეგორიათ მათი შეძლების მიხედვით, რომელთაც გადახდებათ შემდეგი გადასახადი:

ღვინით მოვაჭრეებს 1 კატეგორიას—10000 მ., მე-2 კატ.—6000 მ., მე 3 კატ.—3000 მ., მ., საწვრილმანოებზე 1 კატ—5000 მ., მე 2 კატ.—3000 მ., მე-3 კატ.—1500 მ. სახელოსნოებზე 1 კატ.—3000 მ., მე 2 კატ.—2000 მ., მე 3 კატ,—1000 მ. წისქვილებზე იქნან შეწერილი შემდეგი გადასახადი თვითეულ თვალზე: მტკვარზე—1500 მან, მდინარეებზე—1000 მან. იქნას შემოღებული 1920 წლ. შემდეგი გადასახადი: საწორზე: ქონიანზე 1 ფ. 5 მ., ურემი შეშა—20 მ., საპანე ნახშირი —20 მ., საქონელზე—20 მ., ღორზე—20 მ., ცხვარზე—15 მ., ბატკანზე—10 მ., თვითეულ გაშლილ მაგიდაზე—20 მ. დაწესდეს შემდეგი ნიხრი: 1) ძროხის ხორცზე—10 მ. გირ. 2) ტვინი—6 მ. ცალი, 3) ენა—6 მ. გირ. 4) თავის ხორცი—3 მ. გირ., 5) ჯიგარი (გულ ღვიძლი)—3 მ. გირ, 6) გული (ცალკე) 3 მ 50 კ. გირვ., 7) ფილტვები—1 მ. გირ., 8) ტყლიპი—2 მ, ცალი, 9) სუკი—15 მ., გირ., 10) კამეჩის ხორცი—8 მ. გირ., 11) ცხვრის ხორცი—13 მ. გირ., 12) ჯიგარი—10 მ. ცალი., 13) ღორის ხორცი უტყაოთ—13 მ. გირ ტყავიანით—14 გირ., თავფეხის დაწვა ხორცზე აკრძალულია. 14) ძროხის ქონი—22 მ. გირ. 15) ცხვრის დუმა—25 მ. გირ., 16) ღორის ქონი ტყავისა 23 მ. გირ. შიგნეულისა 26 მან. გირ.

### ამონაწერი თელავის ქალაქის საბჭოში 15 იანვრის სხდომა

გამგეობის და საფინანსო კომისიის მოხსენებით სატრაქტირო გადასახადის რაოდენობა უნდა იყოს 300 ათასი მანეთი.

ქალაქის მოურავი მოახსენებს, რომ საბჭოს დაუდგენია დაგეგმა, რისთვისაც გადაუდვია 50,000 მან., მაგრამ საქმე მოითხოვს, რომ თუ ქალაქის ქუჩები ეზოებით ფართოდ დაიგეგმა დასჭირდება 117.400 მან. და თუ მარტო ქუჩები 30,000 მან.

კამათის შემდეგ საბჭო იღებს პირველ ხარჯს 137,400 მან.

# ახალი ქველმოქმედება.

### შრომის ლოტარეია.

„დედობისა და ბავშვობის დამცველ საზოგადოების" დღეს კაფე ფრასკატში (რუსთაველის, ყოფილი გოლოვინის, პროს.) დილის ათის საათიდან გათამაშდება შრომის ლოტარეა.

სხვა და სხვა პროფესიის წარმომადგენლებმა: სახელმწიფო და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, ექიმებმა, ინჟინრებმა, ვექილებმა, კბილის ექიმებმა, მკერავებმა, ტეხნიკოსებმა, ჩენკლებმა, რესტორანების პატრონებმა, მეწაღეებმა, მეეტლეებმა, კლუბის პატრონებმა, სახელმწიფო თეატრმა, არტისტულმა საზოგადოებამ აფთიაქებმა და სხვ. შესწირეს საზოგადოებას თავისი შრომა სპეციალობის მიხედვით.

ეს შემოწირულებანი გათამაშდებიან შრომის ლოტარეიაზე, თითეულმა შემომწირველმა მისცა საზოგადოებას ცალკე ხელწერილი ლოტარეის ბილეთზე თავის მისამართის ჩვენებით, რომ მომგებმა უფასოთ ისარგებლოს მისი შრომით. მინისტრები შეპირდნენ რიგ გარეშე მიღებას, ექიმები—უფასო ექიმობას ბინაზე ან საავათმყოფოში, კბილის ექიმები—უფასოთ დაპლომბას, კბილის ამოღებას, ან გაწმენდას, მკერავები—ტანისამოსის შეკერვას, ვექილები—იურიდიულ რჩევას, მეეტლეები—ქალაქში ერთ გასეირნება, რესტორანები ვახშამს ან სადილს ღვინით ან ულვინოთ, თეატრები და კინემატოგრაფები—წარმოდგენაზე ბილეთებს, აფთიაქები წამლების უფასოთ დამზადებას. ლოტარეის კომისიაში უკვე შემოვიდა 1.000 მეტი ასეთი მომგებიანი ბილეთი და კიდევ მოდის.

იქავე დაარსებული მომგებიან ბილეთების გასაცვლელი ბიურო, რომელიც იარსებებს ლოტარეის გათავების შემდეგ სამ დღეს კაფე „ინტერნაციონალში", 10—8 საათამდე.

# სხვა და სხვა

✦ ბათუმში ჩამოსულმა იტალიის გემმა „ფრანცესკო-ოსენებმა" მოიტანა შემდეგი საქონელი: (ანგ. კაპობით) სასანიტარო საქონელი 57, აბრეშუმის წინდები 90, საკანცელიარიო საქონელი 150, თეთრეული 130, მედიკამენტები 1650, ნავთის ლუმელი 38, ქსოვილები 12.500, საპარფიუმერიო საქონელი 780, ქაღალდი 10500, პაპიროსის ქაღალდი 1279, ესენცია წამლისთვის 525, ლილა 1800, კალოშები 150, კარტოფილის სანთლები 6350 ყუთი.

✦ ფინანსთა მინისტრი იხილავს მოხსენებას საქართველოდან გაზიდულ საქონლის დაბეგვრის შესახებ.

✦ ქალაქის გამგეობამ პრინციპიალურად გადასწყვიტა ნიკოლოზის ქ. ყოფილ მე 2 მოხალისე ცეცხლის მქრობელთა რაზმის ბინაზე გაიხსნას ცეცხლის მქრობელთა რაზმის განყოფილება მდ. მტკვრის გაღმა ნაწილისთვის. ამას გარდა შესდგება ცალკე ორგანო, რომელიც თვალყურს ადევნებს, რომ დიდი შენობები სახიფათო არ იქნეს ცეცხლის მხრით.

✦ ტფილისში ჩამოვიდა ბათუმის მეჯლისის თავმჯდომარე მამედბეგ აბაშიძე, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრს წარუდგა და ხანგრძლივ ესაუბრა.

✦ ტფილისში ჩამოვიდა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი გ. მახარაძე.

✦ ქ. გორში ახალი ავადმყოფობით გარდაიცვალა ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდა მსახიობი გ. არადელი იშხნელი.

✦ სომეხთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ შუამდგომლობა აღძრა განათლების სამინისტროს წინაშე, რათა გახსნილ იქნას სოფ. ვაყაში სომხური სკოლა, რომელიც ადგილობრივ ერობის მიერ იყო დახურული.

✦ 15 თებერვალს, ქ. ერევანში გაიხსნება სომხეთის სავაჭრო სამრეწველო პალატა. სომხეთის მთავრობამ $1^1/_2$ მილიონი მანეთი გადასდო სომხეთის ტერიტორიის გარეშე მყოფ სომხურ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა დასახმარებლად.

✦ დღეს საღამოს ქართ. წარმ. მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება... „მელანიას ოინები".

# მილოცვები

**ლონდონიდან:** „მივიღეთ ოფიციალური ცნობა ბრიტანეთის მთავრობისა და მოკავშირეთაგან საქართველოსა და აზერბეიჯანის დამოუკიდებლობისა de facto აღიარებისა. ვესალმებით უმაღლეს საბჭოს პირველ ნაბიჯს. ვიმედოვნებთ, რომ საბოლოო ცნობის მიღებაც არ დაიგვიანებს". გვარჯალაძე.

**პარიზიდან:** „პარიზში ეხლახან ჩამოსული ქართველი სტუდენტები ბედნიერნი ვართ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობით. სალამი მთავრობას". ნოზაძე, რობაქიძე.

**შვეიცარიიდან:** „აღფრთოვანებული მოლოცვა, მხურვალე სურვილები კეთილ დღეობისა დამოუკიდებლათ ცნობილ საქართველოს. შვეიცარიის მისიის და კოლონიის მონდობილობით სუმბათაშვილი".

**სტამბოლიდან:** „საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობამ აღაფრთოვანა მთელი კოლონია. მიიღეთ ჩვენი მხურვალე მოლოცვა და სურვილი კეთილ და ბედნიერ ცხოვრებისა თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოსთვის". რცხილაძე.

# ფართლეულობა

სასურსათო განყოფილებამ შეიძინა ბლომად საზღვარგარეთის ფართლეულობა. მიეცემა ქალაქის მცხოვრებლებს უპარათოდ საფართლო მაღაზიებიდან, რომლებიც იხსნება სასურსათო განყოფილების მიერ თავისუფლების მოედანზე, ავლაბარში და ვაგზლის რაიონში. პირველი მაღაზია გაიხსნება ოთხშაბათს 4 თებერვალს თავისუფლების მოედანზე ძმათა ფოროქაშვილების მაღაზიაში. მრავლია სხვა და სხვა საქონელი: ბამბაზია, ფლანელი, მასალა საცვლებისათვის, მიტკალი, მერტინგი, მატყლის საქონელი, ხავერდი, ფულარი, სატინი, ჩითეულობა, სალფეთქები და სხვა. საქონელი ყოველთვის შევსილ და განახლებულ იქნება ხოლმე.

# სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულოს სხდომაზე 1920 წელს 6 თებერვალს დანიშნული არის განსახილველად საკასაციო წესით შემდეგი საქმეები:

(სხდომის გახსნა 10 საათზე.)

1. საქმე სიმონ ორდუხანოვისა გუკას მატოიანცთან მიყენებულ ზარალის თაობაზე.
2. საქმე ნინო ევსტაფიევასა მარიმ და ელისაბედ სულხანიშვილებთან 600 მანეთის თაობაზე.
3. საქმე ილია გელიკაშვილისა ძველი გავაზის სასოფლო საზოგადოებასთან დარღვეულ მფლობელობის აღდგენის თაობაზე.
4. საქმე შაულ პოლისის სტეფან ბაღდასაროვთან 1500 მანეთის და მის %% თაობაზე
5. საქმე ანასტასია კოლესნიკოვისა თაიროვისასთან 12000 მ. თაობაზე.
5. საქმე „ზ. და ა. კარლინსკები და კომპანია" ამხანაგობის გალეტების ფაბრიკას „აბარონა" ამხანაგობასთან 7155 მანეთის თაობაზე.

ტატთა პალატა და ახალი არჩევნები მოახდინოს. პარლამენტის დათხოვის უფლება ამერიკის პრეზიდენტს არ აქვს, თუმცა სხვა მხრივ მისი უფლებები, როგორც დავინახეთ, არ ჩამოუვარდება საფრანგეთის პრეზიდენტისას.

პარლამენტარული დემოკრატიისთვის, რასაკვირველია, თქმა უნდა, დამახასიათებელია არა ეს პრეზიდენტის უფლებათა სიფართოვე, არამედ მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე. მინისტრებს ნიშნავს ფორმალურათ პრეზიდენტი. მაგრამ ფაქტიურათ ის ვალდებულია პრემიერად მოიწვიოს პარლამენტის უმეტესობის ნდობით აღჭურვილი პირი, პარლამენტის დიდი ფრაქციების რომელიმე მეთაური, რომელიც შემდეგ თვითონ ადგენს სამინისტროს (კაბინეტს) საკუთარი გეგმის და სურვილის თანახმად. ეს სამინისტრო პოლიტიკურად და სოლიდარულად პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. იგი ვალდებულია გადადგეს, თუ პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა. საფრანგეთის მინისტრები პასუხისმგებლები არიან არა მარტო თავის მოქმედებისა და პოლიტიკისათვის, არამედ პრეზიდენტის სახელმწიფო მოქმედებისა და აქტებისათვის, რომელთაც გამოქვეყნებისას სათანადო მინისტრები უნდა ადასტურებდენ ხელისმოწერით. თვითონ პრეზიდენტი კი, როგორც ითქვა, უპასუხისმგებლოა. ხოლო ყოველივე ეს, ვიმეორებთ, არაა დამახასიათებელი პარლამენტარული დემოკრატიული წყობილებისათვის. ასეთი წყობილება ბატონობს ამერიკის ზოგიერთ დემოკრატიულ რესპუბლიკებში. მაგალითად ვენეცუელა, ჩილი, სანდომინგო და სხ. ვენეცუელაში და სანდომინგოში მინისტრს არ აქვს პარლამენტის წევრობის უფლება, მაგრამ პარლამენტის უნდობლობის გამოცხადება იწვევს მინისტრის გადადგომას. აი ეს ახასიათებს უმთავრესად პარლამენტარიზმს.

საქართველოს კონსტიტუციას შეუძლია შეითვისოს პარლამენტარულს დემოკრატიის მართველობა. მაგრამ მან ამასთან ერთად უნდა შეითვისოს ის კონსტიტუციური გარანტიები, რომელსაც იძლევა შვეიცარიული დემოკრატია. ამ ორი ტიპის დემოკრატიის პრინციპების ფრთხილი შეთანხმება და შეზავება მოგვცემს საქართველოს რესპუბლიკისთვის საუკეთესო კონსტიტუციას. ასეთი კონსტიტუცია დაზღვეული იქნება ორივე დემოკრატიის უარსაყოფი და მიუღებელი მხარეებისაგან, მატარებელი იქნება ორივე დემოკრატიის დადებითი თვისებებისა. ჩვენი კონსტიტუციით მთავრობა კოლექტიურად პასუხისმგებელი უნდა იყოს პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისთვის და თვითეული წევრი მთავრობისა პირველათ თავის მოქმედებისათვის, როგორც ამბობს კონსტიტუციის პროექტი. მაგრამ კონსტიტუცია უნდა აღიარებდეს აგრეთვე იმ პრინციპებს, რომლებიც გულისხმობენ ხალხის პირდაპირს ჩარევას კანონმდებლობასა და მმართველობაში.

დაწვრილებით ეს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი უნა განვიხილოთ კონსტიტუციის პროექტის თავების გარჩევის დროს. მაშინ შევეხებით იმ საკითხსაც, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლების ორგანიზაციასთან. ეს არის პრეზიდენტობის შემოღების თუ შემოუღებლობის საკითხი...

ვ. ხაჟვირელიძე.

(შემდეგი იქნება).

# ქართულ დრამატიულ საზოგადოებაში

ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა საერთო კრების გაგრძელება კვირას, თებერვლის პირველს, გაიმართა პავლე საყვარელიძის თავმჯდომარეობით.

კრებამ თავმჯდომარის წინადადებით ფეხზე ადგომით პატივი სცა ქართულ თეატრის პირველ რეჟისორის, გიორგი თუმანიშვილის ხსოვნას და შემდეგ მორიგ საკითხთა განხილვას შეუდგა.

განცხადებანი ჩვენი თეატრის მოღვაწეთა ოჯახების ნივთიერად უზრუნველყოფის შემდეგ კრებამ გამგეობას გადასცა და დაავალა მიიღოს ღონისძიებანი მათ დასაკმაყოფილებლად. სოფ. ტარუაშვილის წინადადებით გამგეობამ მომავალ გამგეობას დაავალა, დაიბრუნოს ჩვენი თეატრის მდიდარი გარდერობი იმ ფასად, რა ფასშიც იგი დრამატიულ საზოგადოებას ხელიდან გამოეცალა. კრებამ აგრეთვე მტკიცე იმედი გამოსთქვა, რომ თეატრის საქმეს მომავალი გამგეობა მხნედ მოეკიდება და უპირველეს მზრუნველობის საგნად დაისახავს.

კრებამ აგრეთვე მიიღო აკაკი ფალავას წინადადება იმის შესახებ, რომ მისალმების დეპეშები გაეგზავნოს მთავრობის თავმჯდომარეს, სახალხო განათლების სამინისტროს და დამფუძნ. კრების ხელოვნების კომისიას, რომელთა თანაგრძნობაზეც დიდად დამოკიდებულია დრამატ. საზოგადოებისა და კერძოდ ჩვენი სათეატრო საქმის მოღონიერება აღორძინება.

არჩეულ იქნენ თანამდებობის პირნიც.

გამგეობაში ახალ წესდებით სულ 15 წევრი უნდა იყოს. ამათში ერთს ირჩევს სრულიად საქართველოს მსახიობთა კავშირი. ამიტომ კრებამ თავის მხრით აირჩია 14 წევრი და 7 კანდიდატი.

გამგეობის წევრებად ბარათების საშუალებით არჩეულ იქნენ:

ივანე გომართელი, აკაკი ფალავა, გიორგი ლასხიშვილი, სოლ. ახვლედიანი, პეტრე სურგულაძე, იოსებ აბაკელია, იოსებ ბეჟილაძე, მარიამ რამიშვილისა, ნიკოლოზ ქართველიშვილი, შალვა რამიშვილი, ლეო ნათაძე, გრ. ურატაძე, ილია ალიაძე და შალვა შარაშიძე.

მათ კანდიდატებად არჩეულ იქნენ:

ივ. ქავჭავაძე, სამ. ფირცხალავა, ნიკოლოზ შიუკაშვილი, პავლე დადვაძე, დავ. ნახუცრიშვილი, დიმ. დუმბაძე და შალვა დადიანი.

სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქნენ:

სოფრომ ტარუაშვილი, ირ. რამიშვილი და არ. აბაზაროვი.

დასასრულ კრებამ მადლობა გადაუხადა შრომის გაწევისთვის თავის თავმჯდომარეს პავლე საყვარელიძეს და იმედი გამოსთქვა, რომ იგი, როგორც დამფუძნ. კრების ხელოვნების კომისიის თავმჯდომარე, დახმარებას და ყურადღებას არ მოაკლებს დრამატიულ საზოგადოებას.

## განცხადებანი

ზესტაფონის უბნის მომრიგებელი მოსამართლე ამით აცხადებს, რომ აღსრულებითი ფურცელი, მიცემული მისგან ელისაბედ მახათაძის სახელზედ 14 ოქტომბერს 1919 წ. № 851 საქმეზე, მისი შვილებისაგან სარჩოს მიწერების შესახებ, გაუქმებულ იქნას, დაკარგვის გამო. 055 1 1

